საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

23/01/2025

MES 4 25 0000047434

გადაწყვეტილება

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი ს ამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ემუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის№65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5- ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია, დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ემუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და

დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2024 წლის 29 მარტს შემოვიდა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის №35/2794 წერილი (ცენტრში რეგისტრაციის - №372873), რომლითაც დაწესებულებამ წარმოადგინა სააკრედიტაციო განაცხადი "მენეჯმენტის (ძირითადი სპეციალობა)", "მენეჯმენტის", "მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი და "მენეჯმენტის (ძირითადი სპეციალობა)" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების, "მენეჯმენტის", "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი, "ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისა და "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის თაობაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2024 წლის 2 მაისის №496054 ბრძანებით სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2024 წლის 12 ივლისის №856883 ბრძანებით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც დაწესებულებაში ვიზიტი "მენეჯმენტის (ძირითადი სპეციალობა)", "მენეჯმენტის", "მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი და "მენეჯმენტის (ძირითადი სპეციალობა)" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების, "მენეჯმენტის", "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი, "ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისა და "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კლასტერის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განახორციელა 2024 წლის 14, 15, 16 და 17 აგვისტოს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	**x**			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	**x**			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	**x**			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	**x**			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	x			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4 ზეპირი მოსმენა გაიმართა **2024 წლის 30 დეკემბერს.** სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება და რეკომენდაციები, კერძოდ 1.3 კომპონენტში დაამატა კლასტერული რეკომენდაცია, შედეგად შედეგად 1.3 კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რამაც გამოიწვია პირველი სტანდარტის შეფასება და ის შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ნაცვლად, „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ 13 ხმით არცერთის წინააღმდეგ:

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2031 წლის 30 დეკემბრამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "მენეჯმენტის (ძირითადი სპეციალობა)", "მენეჯმენტის", "მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი და "მენეჯმენტის (ძირითადი სპეციალობა)" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების, "მენეჯმენტის", "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი, "ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისა და "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 23 იანვრის №47292 ოქმის №3 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევებ ი:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია გადაიხედოს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და სამიზნე ნიშულები (უზრუნველყოფილი იქნასპროგრამების სწავლის შედეგების მიღწევა გაცნობის, გაღრმავება, გამტკიცების დონეზე);
2. რეკომენდებულია პროგრამის განახლება ბიზნესის ადმინისტრირების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. პროგრამაში უნდა დაემატოს კურსი, რომლის შედეგი იქნება - დამოუკიდებლად ავითარებს და/ან მართავს პროექტებს უცხო და მულტიდისციპლინურ გარემოში;
3. რეკომენდებულია პროგრამების შესაბამისობაში მოყვანა დარგობრივ მახასიათებლებთან, უმაღლესი განათლების II საფეხურთან, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონესთან, იხილეთ https://eqe.ge/en/page/static/1028/biznesi-administrireba-da-samartali;
4. რეკომენდებულია უზრუნველყოფილი იქნას, რომ ყველა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს ჰქონდეს დოქტორის ხარისხი.

რჩევები:

1. სასურველია, რომ თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტი მოიცავდეს მკაფიო და ეფექტურ გზებს გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველსაყოფად;
2. სასურველია, რომ სამიზნე მაჩვენებლები (სტუდენტების 50% აღწევს კონკრეტული კომპონენტის მაქსიმალური შეფასების 50%-ზე მეტს) გაიზარდოს უფრო მაღალი ხარისხის სტანდარტების უზრუნველსაყოფად;
3. სასურველია, რომ პროცესის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ, რომ სილაბუსში მოცემული შეფასების ინსტრუმენტის რუბრიკები ზუსტად და სანდოდ ზომავდეს დასახულ სწავლის შედეგებს;
4. სასურველია, არსებულმა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა სრულად განახორციელონ პროგრამის სწავლება - სწავლის მეთოდები;
5. სასურველია სტუდენტური სერვისების მრავალფეროვნების გაზრდა მათი საჭიროებებისა და სურვილების კვლევის საფუძველზე, იმისთვის რომ სერვისები მორგებული იყოს სხვადასხვა ტიპის სტუდენტზე და არ იყოს ყველასთვის ერთნაირი მიდგომა გამოყენებული;
6. სასურველია, კვლევითი კომპონენტების გაძლიერება როგორც სამაგისტრო, ისე სადოქტორო პროგრამებზე, განსაკუთრებით სტუდენტთა ნაშრომების ხარისხის ასამაღლებლად;
7. სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ მთელ აკადემიურ პერსონალს ჰქონდეს თავიანთი სამეცნიერო პროფილები სხვადასხვა პლატფორმაზე, როგორიცაა Google Scholar, ResearchGate, ORCID, Scopus და Clarivate;
8. სასურველია, მეტი ქართულენოვანი სასწავლო მასალის („რიდერის“) უზრუნველყოფა სტუდენტთა წარმატების, მხარდაჭერისა და განვითარებისთვის;
9. სასურველია, კლასტერში შემავალი საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ჯგუფის წევრებად სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების უშუალო მონაწილეობა;
10. სასურველია, მეტი სტუდენტის ჩართვა უნივერსიტეტის კვლევით პროექტებში, პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად;

11. სასურველია უნივერსიტეტმა ყურადღება მიაქციოს აკადემიური პერსონალის შენარჩუნებას;
12. სასურველია უნივერსიტეტმა ყურადღება მიაქციოს მოწვეული პერსონალის შენარჩუნებას, განსაკუთრებით სამაგისტრო პროგრამებისთვის.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2024 წლის 30 დეკემბერს.
6. საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 1 წელი - 2025 წლის 30 დეკემბრამდე.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) დაწესებულების ინფორმირების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება №130 12/10/2018
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზირი 3/5, თბილისი 0162, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	30.12.2024
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	1 წელი, 2025 წლის 30 დეკემბრამდე
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2031 წლის 30 დეკემბერი